88
ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა და რედაქცია
ფილისი, სასახლის ქ.,
ათ.-აზნაურო ქარვასლა.
ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
დ მიმართავენ რედაქციის დილის
–3 საათამდე და საღამოს 6—
ნ „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია
ა-მოუწერავ წერილებს რე
აქცია არ ბეჭდავს.
ირ პოლიმარაკები რედაქ
ი შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე

გაზეთი „ცნობის ფურცელი" ეღირება **2** მან.

კვირას, 24 ოქტომბერს,
პანაშვიდის შემდეგ დილის 11 საათზე მამადავითის ტაძრის გალავანში (მთაწმინდაზე
აკურთხებენ ძეგლს
დიმიტრი ყიფიანის
სასაფლაოზე
რასაც საყოველთაოდ აუწყებს მისი ოჯახობა.

ქართული თეატრი

კვირას, 10 ოქტომბერს,
დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქნება:

სამშობლო

დრამა 5 მოქმედ. და 7 სურათად თავ. დ. ერისთავისა.

ბ-ნ ქ. ყიფიანის მონაწილეობით

მოთამაშენი: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, ნებიერიძე; ბ.ბ. ყიფიანი, მეს ი, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, ალამიძე, მჭედ იშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

მზადდება ახალი პიესა ქ-ნ აზაიანისა: „თვალი და შთამავლობა".

იმერული სასადილო

ოშუკაზე, რუსის ქუჩაზე, ვანქის შენობაში მზადდება ყოველ დღე ახალის ხორაგისაგან.

გემრიელად მომზადებული იმერული სადილ-ვახშამი

კერძი ერთი შაურიდან აბაზამდე

სტაქანი ჩაი ტკბილი ორის ბუბლიკით ერთი შაური.

პატივისცემით კოსტა დანელია.

კვირას, 10 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

„შუამავალის"

ამხანაგობის საგანგებო საზოგადო კრების გაგრძელება.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

ექიმი
გ. ს. გენცენფილდი

ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვერენიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღე დებულობს [illegible] 9 [illegible]-საათამდე და საღამოს 6—[illegible] საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

„უნივერსალნი მაღაზია"
იხილე განცხადება უკანასკნელ გვერდზე.

ჰოსპიტალი და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

ამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი შინაგანი, ნერვების, საქირურგო, თვალისა და ქალთა ავადმყოფობისა,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს **ზ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **ზ. თ. კოგანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

Лѣчебница **С. В** *Топурія* въ Кутаисѣ.

ახალი ამბავი

** **დიმიტრი ყიფიანის ძეგლის კურთხევა.** ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ თავად-აზნაურობამ დაავალა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი განსვენებული დიმიტრი ყიფიანის საფლავზე ძეგლი ადგო. ეს უკვე მზად არის და ეხლა როგორც განსვენებულის ოჯახობა იუწყება, ამ ძეგლს აკურთხებენ ამ თვის 25, კვირა დღეს, მთაწმინდაში მამა დავითის ტაძრის გალავანში.

** მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა. ჩვენი ნიჭიერი არტისტი ქალი მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, როგორც მკითხველებმა იციან, ყურების ტკივილის გამო გავიდა საზღვარ-გარეთ ქ. ვენაში საწამლავათ. ჩვენდა სასიამოვნოთ, გუშინ მისგან დეპეშა მოგვივიდა, რომ მისთვის წამლობას უშველია და ამ ცოტას ხანში ტფილისში დაბრუნდება.

** **მეორე ქართული წარმოდგენა.** ხვალ, 10 ოქტომბერს, იქნება ქართული წარმოდგენა. წარმოადგენენ თ. დ. ერისთავის გადმოკეთებულს დრამას „სამშობლოს".

** ტფილისის საცხობი.
ლისის პოლიც ალმ ბ. კ
ევმა შეკრიბა ცნობები
სტოლის დაარსებისა.
წარუდგინა 3 6 გუბე
სამტკიცებლათ. ეს 3
შირება აგრეთვე
ლელის დაარს

კნელნი უნდა დაევალოს სახლის პატრონებს.

⁂ **ტფილისის სასწავლო სტიპენდიები.** 6 ამ თვეს, კენჭი უყარეს ქალაქის სასწავლო სტიპენდიებზე კენჭი ერგოთ 1 ქალების გიმნაზიაში ა. აბრამიანცს და ვერა გოლდშმიდისა, და 2 გიმნაზიაში— ოლგა შახნაზაროვს.

⁂ **სომხების საჩივარი ბაქოში** მრავალი საჩივარი შეიტანეს სომხებმა, იმის შესახებ, რომ მათ კავკასიის სასწავლო გამგეობამ ჩამოართვა მათ უძრავი მამულები.

⁂ **ახალი დანიშნულება.** ქალაქის გამგეობის ბუხგალტერი ნ. ზ. ნაზაროვი დათხოვნილ იქმნა ავათმყოფობის გამო სამსახურიდან, ამის ადგილზე დანიშნეს მისი თანაშემწე ტ. გ. ერმიშევი, ამ უკანასკნელის ადგილზე ი. ი. საათსაზოვი.

⁂ **ტფილისის საბაღოსნო სკოლა** ამ შემოდგომაზე ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელი გაჰყიდის თავის ბაღიდან 4000 საუკეთესო ხარისხის პატარა ხეებს და 50,000 სადეკორაციო ხეებს. მსურველთ შეუძლიანთ ეს ხეები ამ შემთხვევით იაფათ შეიძინონ.

⁂ **სასწავლებლის კურთხევა.** 7 ოქტომბერს აკურთხეს ახლად დაარსებული ტფილისში გრაფის ქუჩაზე საქალაქო სასწავლებელი. კურთხევაზე მრავალი ხალხი დაესწრო: ბ-ნნი იანოვსკი, სვეჩინი, დიმიტრიევი, პავლოვი, ევანგულოვი და შესტაკოვი.

⁂ **ქალაქ გორის წარმომადგენელთა შესახებ.** 11-ს ამ ენკენისთვეს ქ. გორში მოხდა არჩევნები ქალაქის წარმომადგენელთა. ეს არჩევნები კენჭით არ მოახდინეს და ისე ხმით ამოირჩიეს. ბ-მა გუბერნატორმა ამისთანა არჩევანები არ დაამტკიცა და წაშალა, უთუოდ კენჭი უნდა მოხდესო, ასე რომ ეს არჩევანები უნდა ხელმეორედ მოხდეს.

⁂ **ქალაქის სასწორებზედ.** ქალაქის გამგეობის წევრის თავ.
რლუთინსკის მეცადინეობით ქა-
ქის საბაზრო სასწორები ამ
იდან უნდა ვაჭრობით გაიცეს,
ვილა სასწორების ვაჭრობა
უნდა მოხდეს, თავ. არ-
თანადასწრებით.

ვთზედ. წელს მარ-
განმავლობაში.
ასპი" იუწ... ა,
ვარებელი
430850

ფუთი, ასტრახანში—3,063,820 ფუთი, პეტროვსკში—2,217,698 ფუთი, კასპის ზღვის იქით 57,969 ფუთი, და სპარსეთში—105,136 ფუთი

⁂ **სამღრთო სჯულის ზედამხედველი.** საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს განკარგულებით, ყოვლად სამღვდელო კირიონი. ეპისკოპოსი ალავერდისა, დანიშნულ იქმნა საღმრთო სჯულის გაკვეთილების ზედამხედველად ტფილისის საერო ვაჟებისა და ქალების სასწავლებლებში.

⁂ **ჯილდო ნ. ი. კეზელს.** სრულიად რუსეთის რძის მეურნეობის გამოფენის კომიტეტმა იმ კავკასიელთა შორის, რომელთაც გამოფენაზედ თავიანთი რძის ნაწარმოები წარადგინეს, პატარა ვერცხლის მედალი დაუნიშნა ჯილდოდ ნ. კეზელს.

⁂ **აქციზა ღვინოზედ.** გაზ. „როსსია" უარჰყოფს იმ ხმას, ვითომ ღვინოზედ იქციზის შემოღება იყოს განზრახული ეს ხმა მეტად ნაადრევიაო, ღვინოზედ აქციზის დაწესების საქმის განხილვა ახალი ამბავი არ არის და ამ საგნის შესახებ მრავალი ცნობებია შეკრებილი. ამის მიუხედავად ამ საგნის გარდა-წყვეტა [illegible]ლიან დიდხანს დაიგვიანებს. [illegible]ალ შემთხვევაში, ვიდრე იმპერიაში მეღვინეობა და მევენახეობა საკმაოდ არ გაძლიერდება და მკვიდრს ნიადაგზედ არ დადგება, შეუძლებელია ღვინოზედ აქციზის დაწესება, რადგან ასეთი აქციზი შეაფერხებს განვითარებას მეურნეობის საყურადღებო დარგისას, რომელსაც ისედაც ფართო მფარველობა ესაჭიროებაო.

⁂ **ქ. თელავი. საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** რა გაისმა ხმა, რომ სოფ. ყვარელის მცხოვრებნი წყლისგან დაზარალდნენო, მაშინვე თელავში შესდგა სხვა და სხვა საზოგადოება, რომელნიც აგროვებდნენ ფულს იმად სასარგებლოთ, სხვათა შორის, ესენი არც ბ. აჯი-მამუდოვს დაავიწყდა, რომელიც ყოველ ჟამს მზათ არის, რომ გაჭირვებულთ ხელი შეუწყოს და ცხოვრების წყარო აღმოუჩინოს. ამისათვის ბ. აჯი-მამუდოვმა გამართა წარმოდგენა იმათ სასარგებლოთ, რომელიც პიესის არჩევაში ძრიელ შემცდარა. მან ამოირჩია „რევიზორი" კომ. 5 მოქ. გოგოლისა და ამ პიესის წარმოდგენა კი რომ სწორედ დახასიათდეს ის რევიზორი და მომქმედნი პირნი, რომლებიც პოეტსა ჰყავს სახეში, ტფილისის დასის არტისტებსაც კი გაუჭირდებათ, არამც თუ თელაველ სცენის მოყვარეთ. წარმოდგენა დანიშნული იყო ოთხშაბათს, 29 სექტემბერს, თელავის საკრებულო დარბაზში, მონაწილეობას იღებდნენ, სხვათა შორის, ჩვენი მსახიობნი: ბ. ვ. მ. გამყრელიძე და ბ. დ. მ. აწყურელი და ბ. გამგესაც კი ჰგონებია, რომ რადგანაც ეს ორი პირი მიიღებენ მონაწილეობას, რაც უნდა ძნელი პიესა იყოს სხვებიც კარგათ შეასრულებენო. ანტონ ანტონიჩ გოროდნიჩი—ბ. გამყრელიძემ და ივან ალექსანდროვიჩ ხლესტაკოვის როლი ბ-ნმა აწყურელმა კარგათ შეასრულა, მაგრამ უფრო კარგნი იქნებოდნენ, რომ სხვებიც მხარში მიჰყოლოდნენ. აგრეთვე არა უჭირდათ-რა ლ. ვახვახიშვილს ოსიპი ხლესტაკოვის მსახურის როლში და ბ. ჩელიძეს ზემლიანიკას როლში. ამათ, რომლებიც კარგათ იცოდნენ და ეტყობოდათ, რომ ემეცადინათ კიდეც, საერთოდ რომ შევხედოთ ამ წარმოდგენას შევატყობთ, რომ არავინ არ დაჰკვირვებოდა თავთავიანთ როლს და არც კარგათ შეესწავლათ იგი, რისთვისაც წარმოდგენამ უფერულად ჩაიარა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ თელაველ საზოგადოების გულცივობა ამ წარმოდგენისადმი. ის იმდენად არის გაუნათლებელი და გაუგებარი, რომ არაფერი არ ესმის საქველ-მოქმედო აზრით საქმისა. ის იმდენად არის გულ-უშემატკივარი, რომ იმის მოძმე რომ წყალში ვარდებოდეს, ხელს არ მიაწვდის ამოსაყვანად, და აბა ასეთ საზოგადოებას განა ბევრი რამ მოეთხოვება?! ჯერ სულ არაფერი. თვენახევარი იქნება რაც წარმოდგენა არ გამართულა და მერე კიდევ საქველ-მოქმედო მიზნით იყო გამართული და ასე გვეგონა, რომ დარბაზი ხალხით იქნება სავსეო, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა იმით, რომ ნახევარ დარბაზი არც კი იყო სავსე. ამ წარმოდგენას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ საოჯახო სალამოებზე ბევრად იმაზე მეტია ხოლმე. არ ვიცი რას მივაწერო ასეთი გულცივობა თელაველ საზოგადოების მხრივ? სხვათა შორის ამ წარმოდგენას რუსებიც დაესწრნენ. წარმოდგენა დაიწყო 9 საათზე და გათავდა თორმეტის ნახევარზე.

განდევნილი.

⁂ **ს. ძევრი** (იმერეთი). **უგზოობა.** რაიცა შეეხება უგზოობით ჩვენს შეწუხებას, მართლაც მეტად გაჭირვებაში ვართ, მეტადრე ენკენისთვიდან აპრილის დამლევამდე. ბევრი იმეცადინეს მღვდლებმა და სხვებმაც, მაგრამ მათმა მეცადინეობამ უბრალოდ ჩაიარა. ჩემის მხრით ეს გზების გაუკეთებლობა მიეწერება მამასახლისის სისუსტეს, თორემ იგი ვალდებულია ყუ
უგდოს, რომ გზები არ იქნეს
ფუჭებული და თუ იქნება გაფ
ჭებული, გამოიწვიოს ხალხი და შ
კეთოს. მაგრამ თქვენს მტერს იმ
თანა ყურის გდება, როგორიც
მასახლისისაგან ქონდეს ჩვენს გ
აქამდის სხვა სოფლის პირე
ვნენ მამასახლისად და არ ე
ნენ ჩვენი გზების კეთებას, მ
დღეს ხომ ჩვენი სოფლის პ
ბრძანდება, ეს მაინც რატომ
ზრუნავს იმისთანა საქმის გაკე
ბას, რომელიც მუდამ საჭირ
არის და იქნება მისთვისაც. ეცად
ბ. მამასახლისო, რომ შენ მამასახ
ლისობაში გააკეთო გზები და ე
შენ სახელს არ დაგვავიწყებს, თო
რემ ეგ თანამდებობა სხვაზე გად
ვა, როგორც წინა მამასახლისებ
ისე არც ის იზრუნებს ჩვენთვი
და ჩვენც იმ გზებისაგან შეწუხე
ბულს ჩვენთან განახავთ.

ა. როფაქ

სასამართლოს მატიანე

1) ტერ შმოვანოვის საქმე.

როგორც მკითხველებმა უწყიან,
შინდლის ჩვენის გაზეთიდან
ოდე თვის წინად ტფილისის
მართლდ პალატამ განიხილა „ყ
ბაშვილის მკვლელთა: თავ. ბარა
ლისა, ტუსიშვილისა, აზნ. ასიტაშ
ლისა და ტერ-შმოვანოვის საქმე. ტ
შმოვანოვი. რომელიც [illegible]
[illegible], საქმის გარჩევის დღე
როცა სასამართლომ მისი დატუსაღ
დაადგინა, სადღაც დაიმალა. ვვედ
ეგონა, დამნაშავე სპარსეთში გაიქცა
გრამ, ამას წინად პოლიციამ კვა
მიიტანა და მის შესაპყრობად ბაქო
გაგზავნა პოლიციის ნაწილის ზედა
ხედველი ჩაევსკი. ბაქოში ჩაევსკიმ შ
იტყო, რომ 28 აგვისტოდან ტერ
შმოვანოვი „გერმანიის" სასტუმრო
სცხოვრობდა ვიდაც ივ. არტ. ხეჭუბ
ვის პასპორტით, შემდეგ ტერ-შმოვა
ნოვი გაპარულიყო ამ სასტუმროდა
და სხვა და სხვა მივარდნილ ადგილებში
იმალებოდა. ამასთან ჩაევსკიმ გამო
ძია, რომ ტერ-შმოვანოვი ტფილის
დან გაქცევის შემდეგ კავკავშიაც
ფილიყო, ტაშკენტშიაც და ერთხ
ტფილისშიაც კი მოსულიყო. ჩაევ
კვალში ჩაუდგა ტერ-შმოვანოვს და
დოს, 4 სექტემბერს, ღამის 12 ს
ზე ოქროვის დუქანში შეიპყრო, სა
გაქცეული ღამეს თურმე ათევდა. ტ
შმოვანოვი წინააღმდეგობის გაუწევლ
დანებდა ჩაევსკის, რომელმაც ადგილო
რივის პოლიციის დახმარებით კი
დაატუსაღა იგი ტფილისში გამოსა
ზავნათ.

—

2) ყიფიანის ქალის მოტაცება

მკითხველებმა უწყიან, რომ
16 სექტემბერს სოფ. ქვიშხეთ
რის მაზრა) მოიტაცეს გასათხ

ქალი თამარა ყიფიანისა. ეს საქმე არის დანიშნული 8 ნოემბერს ქ. გორში ოლქის სასამართლოში. ბრალი ედება 7 კაცს: აზნაურებს დავით, ვასო, ნიკო, ნემსაძეებს და მიხეილ თავზარიშვილს და გლეხებს დიმო სუთიაშვილს, ნიკო დომიძეს და ილიკო კაჭკაჭოვს. მოწამეთ მოწვეულია 25 კაცი, რომლებიც დაესწრნენ მოტაცების დროს.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

პეტერბურგი. სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორს გენერალ-მაიორს თედოროვს ებოძა გენერალ ლეიტენანტობა და დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

ლონდონი. ლორდთა პალატა. კამათია ადრესის შესახებ. კიმბერლეიმ განაცხადა: „როგორც უნდა იყოს ჩვენი აზრი იმის შესახებ, თუ რა წესით სწარმოებდეს მოლაპარაკება, ჩვენ მზადა ვართ მთავრობის მომხრე დასსავით, მივემ- ოთ ყოველს იმ ღონისძიებას, ლსაც მთავრობა დაადგება იის ინტერესთა დასაცველად. მ საქმეში საკამათო იყო რა- ესეც გამორკვეულია ეხლა ნსვაალის არა-ჩვეულებრივის ტიმატუმით. ამ ულტიმატუმს ვრობამ ის პასუხი მისცა, რო- ც-კი შესაძლებელი იყო. მო- რაკების ისტორიაში არის ოგიერთი ისეთი მუხლი, ც არ აკმაყოფილებს ადა- ათ“. კიმბერლეიმ დაიწუნა ერთ დეპეშის გამოქვეყნება თქვა, სამწუხაროა, რომ ჩემ- თენის მიერ სიტყვანი ისეთის თი იყო წარმოთქმულიო, ა დასთანხმდა,—უკანასკნელს შნავს დეპეშებში მთავრობა რად და დაწყნარებით იქცე- ქვეყანა ერთ სულად აღ- მთავრობას ყოველსავე ას, რათა ომი ჩქარა და ბით დასრულდეს. მარკიზ- სბიურმა სთქვა: ტრანსვაა- თავრობამ ისეთი ნაბიჯი ა, რომელიც შესაწყნარე- არის, თუნდა ინგლისს ივ გამოეწვიოს კიდეც . საზოგადოდ ტრანსვაალის მთავრობა ინგლისს მეტად თავხედად მოექცა და ამითი ინგლისის მთავრობას ააცილა საჭიროება ქვეყნისათვის გამოეცხადებინა, რად ასტყდა ბრძოლა ორსავე მთავრობას შუა. სადაო მუხლები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ბრიტანიის მთავრობამ თავისს მოვალეობად დაისახა მიაღწიოს საგანს და აფრიკაში ყველა თეთრ-კანიანთ ერთ გვარი უფლება მოუპოვოს, რაც ამა მთავრობის ვალდებულებას შეადგენს. მთავრობას დიდი იმედიც არა ჰქონდა, რომ საქმე კეთილად დაბოლოვდებოდა მისის სურვილისამებრ, მაგრამ ამასთან არც სრულიად დაკარგული ჰქონდა ეს იმედი, ეხლა კი ის საკითხი, შესაძლებელია თუ არა კიდევ მშვიდობიანობის დაცვაო, სრულიად გაუქმებულია იმ დიადის შეურაცხებით, რომელიც მთავრობას ყოველს სხვა´გზას უხშობს˙ დასასრულ სალისბიურმა ის მოსაზრება გამოსთქვა, რომ კრიუგერი ყოველთვის ოცნებობდა განთავისუფლებულიყო სხვათა „უზენასის უფლებისაგან“ და იმ სინამდვილისაგან, რომელიც ამ უფლებასთან არის შეკავშირებული და აი, ამ უკანასკნელს წლებში ნამდვილი საიდუმლოება მისის პოლიტიკის ამაში მდგომარეობდაო. რაკი შენიშნა, რომ ინგლისი ყურადღებით ეპყრობა ტრანსვაალის უიტლენდერთაო, კრიუგერმა ისარგებლა ამითი, ამ მკვიდრთ უფრო დიდი გაჭირვება მიაყენა, რომ ამითი შეემსუბუქებინა ტრანსვაალისათვის სხვათა „უზენაესი უფლება“. ინგლისს სამხრეთ აფრიკაში მოწინავე სახელმწიფოს ადგილი უჭირავს და იქ ისეთი ვალდებულებანი აქვს, რომე[illegible] დამოკიდებული არ არის არც ხელშეკრულებისა და არც „უზენაესის უფლებისაგან“. კრიუგერის თავისებურ ხასიათისა და იმ აზრების ბრალია, რომელთა განხორციელებასაც იგი ისწრაფის,—რომ დადგა დრო და უნდა გარდასწყდეს: სამხრეთ აფრიკა შემდეგშიაც ჰოლანდიის ბრძანებლობის ქვეშ უნდა იყოს, თუ იქ ინგლისის ერს უნდა მიეცეს მეტი ძალა და უფლება. ინგლისი ვერ დაუბრუნდება საქმეთა იმ ვითარებას, რომელიც 1881 წლის ხელ-შეკრულობამ შეჰქმნა; ინგლისი ვერ დასთანხმდება, რომ იგი კვლავ ისეთსავე მდგომარეობაში ჩავარდეს, როგორშიაც თვრამეტის წლის განმავლობაში იყო (მოწონების ხმა ისმის). მერმისის საკეთილოდ, ყოველივე ეჭვი უნდა ავიცილოთ და მტკიცედ დავადგინოთ, რომ ინგლისს, ვითარცა უზენაესის უფლების მქონე სახელმწიფოს, მეტი ძალი აქვს, რომ თეთრის ტომის ხალხი ერთნაირის უფლებით უნდა სარგებლობდნენ და რომ ადგილობრივ მკვიდრთან მეგობრული დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. მთავრობამ უნდა განმარტოს, რომ საჭიროა ძლიერი იყოს ინგლისი სამხრეთ აფრიკაში, რათა კარგად იქმნას განგებული ეს ქვეყანა და ყველა თეთრის მოდგმის ხალხს უფლებანი მიენიჭოს. ბრიტანიის მთავრობა ამას არის მოწადინებული, მთელი ერიც მხარს აძლევს, და ამასავე იქმნება იგი მოწადინებული ბოლომდისაო“. კიდევ მცირეოდენის კამათის შემდეგ ადრესი ერთხმად იქმნა შეწყნარებილი.

ლონდონი. სალამოს გაზეთების სიტყვით, მეფკინგთან სამასი ბურია მოკლული და 18 ინგლისელი.

კაპშტადტი. დაწვრილებით ცნობებია მიღებული სამხედრო მატარებელთან ბრძოლის შესახებ სპეიტფონტენთან. ბურების არტილერიას 18 ყუმბარა უსროლია მატარებლისათვის, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოხვდერია. მატარებლიდგან დაწყებულა სროლა და ამასთანავე მატარებელს სვლა განუგრძვია. ბურებს დიდი ჟოფის სროლა აუტეხიათ, მაგრამ მატარებელს მარტო რამდენიმე ტყვია მოხვედრია. ორი ბური და ორიც ცხენი მოკლულია და რამდენიმე ბურიც დაჭრილი. ინგლისელთაგანს არავის არაფერი დაშავებია.

პრეტორია. დიდი ბრძოლა იყო 2 ოქტომბერს მეფკინგის ჩრდილოეთით.

ქრისტიანია. მემარცხენეთა დასმა დღეს შეიწყნარა მომავალ არჩევნების პროგრამა. პროგრამა შემდეგის შინარსისაა: 1) ნორვეგიის დამოუკიდებლობა უნდა მოპოვებულ იქმნას იმითი, რომ ნორვეგიისათვის საკუთარი გარეშე საქმეთა მინისტრი და კონსულები დაინიშნენო. ამათ შესახები გარდაწყვეტილება უნდა დადგენილ იქმნას არჩევანის დაბოლოვებამდე; 2) დადგენილ იქმნას კანონები სამედიატორო სასამართლოსა და ნეიტრალიტეტის შესახებ; 3) ნორვეგიელებისათვის უნდა დაწესდეს იმ მუშათა დაზღვევა, რომელთაც მუშაობა აღარ შეუძლიათ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კრების დარბაზი სავსეა. ბალფურსა და ჩემბერლენს ალტაცებით მიეგებნენ. ადრესის განგჭობის დროს კემბელ ბანნერმანმა განაცხადა, რომ პალატა არასოდეს არ შეკრებილა ასეთს შესანიშნავ გარემოებათა გამოო. ინგლისი ბრძოლას იწყებს თავის მონათესავე ქრისტიან პროტესტანტ ერთან. ტრანსვაალთან მოლაპარაკება დაბოლოვდა ეპისტოლეთი, რომელშიაც ისეთ რასმე თხოულობდნენ და მოთხოვნილება ისეთის სიტყვებით იყო გამოთქმული, რომ არც ერთი მთავრობა დი არც ერთი [illegible] თავის პატივისმცემელი ერი მხედველობაში ირ მიიღებდა და არ შეიწყნარებდაო. (მოწონების ხმა გაისმის). ბრიტანიის ორივე ახალშენების საზღვრები დარღვეულია, სამტრო მოქმედება დაწყებულია. მოვალეობა იძულებულ ჰყოფს მინისტრებსა, პარლამენტსა და ერს წინაღმდეგობა გაუწიონ ასეთს თავ-დასხმას. ოპოზიციას არა ჰსურს დააბრკოლოს რითიმე ის საქმე, რომ ფული იქმნა გადადებული და მთავრობას რწმუნებანი მიეცეს, რაც-კი საჭირო იქნება ომის ჩქარისა და რიგიანად წარმოების უზრუნველ-საყოფელად. იგი, ოპოზიცია, ჯერ-ჯერობით კრიტიკის თვალით არ ასწონ-დასწონავს მთავრობის მოქმედებას; მას ჰსურს მხოლოდ შეიტყოს,—ამ მოლაპარაკებას რატომ კარგი შედეგი არ მოჰყვა?.. მოლაპარაკება კარგად არ დაბოლოვდა იმის გამო, რომ მთავრობამ საშიშს საქმეს მოჰკიდა ხელი და კიდევ იმიტომ, რომ მან უხერხულად აღძრა საკითხი უზენაესის უფლების შესახებ, მერე ისიც მაშინ, როდესაც ამას საჭიროება არა თხოულობდა. ჯარის აქეთ-იქით გადაყვანამ, რომელიც იერიშსა ჰგავდა, ეჭვი დაჰბადა იმ დროს, როდესაც დიპლომატია მთავრობათ აცდუნებდა. რათა ყოყმანობდნენ და რატომ ახალი პირობანი არ დაუდეს? მე მინდა დავრწმუნდე, რომ ბრიტანიის დიპლომატია არ იყო გატაცებული წინანდელ სამხედრო დამარცხებათა შურისძიებით და არა უკადრისის სურვილით, რომ ინგლისელებმა პოლიტიკური ბატონობა მოიპოვონ კაპიელ ჰოლანდიელებზედ. „ბალფურმაო, სთქვა კემბელ ბანნერმანმა: თავისის სიტყვის პირველს ნაწილში ისა სთქვა, რის მოლოდინის უფლებაცა აქვს ერს იმის მდგომარეობეში მყოფ კაცისაგან. მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ტრანსვაალის უარს, რომ უიტლენდერებს მათ მიერ მოთხოვნილ უფლებანს არ მივანიჭებო, აფრიკის ომი არ მოჰყვებოდაო. ამას გარდა, ბანნერმანმა სიტყვა გადაჰკრა იმ გარემოებას, რომ თუ მოლაპარაკება ასე სამწუხაროდ შესწყდა, ეს უნდა მიეწეროს არა ახირებულს სიჯიუტეს ტრანსვაალის კანონმდებლობისას, არამედ ინგლისის მთავრობის ჩემ მიერ მოხსენებულ შეცდომათაო. ჭკუაში მოსასვლელი არ არის იმის დამტკიცება, ვითომ წინადადებათა წარმ გენის დაგვიანებამ ჰყო იძულებ ბურები ომი დაეწყოთო. უზენაეს უფლებათა სა შეეხო იმ დრომდე, ვ სვაალმა იმასი რ დაიწყო, რო ფო სრულიად . სახელმწ ამა უარ- ველს მოკ-

ლებული სურვილით, მაგრამ ვიკითხოთ ერთი, რა დაემართებოდა ინგლისს, ჯარი რომ არ ყოფილიყო გაგზავნილი? მთავრობის მოვალეობა აძალებდა ზრუნვა გაეწია სახელმწიფოს უშიშრობისათვის ინგლისმა, რომლის მთავრობაცა ჰგრძნობს, რომ იგი სინიდისსა და ქვეყნის დამხმარებელ საშუალებაზედ არის დამყარებული, დაიწყო საქმე, რომლის კარგად წარმატებით დაბოლოვებაც, აშკარაა, სამართლიანობისა და თავისუფლების გამარჯვებას უდრის. შემდეგ დილლონმა, რომელსაც ლაბუშერიც მიემხრო, განაცხადა, რომ სამხედრო ვითარება გამოიწვია ტრანსვაალის შინაურ საქმეში ჩარევის სურვილმა და ჯარის ერთს ადგილას თავ-მოყრამაო. შემდეგ მოთხოვნილ იქმნა, რომ, რათა აცილებულ იქმნეს საშემდეგისო სისხლის ღვრა, ვეცადოთ სამედიატორო სამართლით გარდაწყვეტა საქმისა, გაიგოს კონფერენციის გარდაწყვეტილებათა საფუძველისამებრო. დილლონის წინადადება პალატამ უარ-ჰყო.

პრეტორია. 4 ოქტომბერს. კრონიემ ურჩია ქალებსა და ყმაწვილებს, მეფეკინგიდგან გაიხიზნენითო, და შუადღის შემდეგ დაიწყო ყუმბარების სროლა, რომელზედაც პასუხი არ გასცეს. ბურებმა უწინააღმდეგოდ დაიჭირეს ქალაქი ტაუნგე, რომელიც ფრიბურგიდგან 40 მილის მანძილზედ იმყოფება სამხრეთით. კრონიემ შეატყობინა ბურების მთავარ-ბანაკს დასავლეთის საზღვარზედ, რომ ბურების რაზმი მარიკოს ოლქში ბურმანსტრიფტამდე მივიდა და ამ ქალაქს ყუმბარების სროლა დაუწყოო. როგორც ორანჟეს რესპუბლიკიდგან მოსულის ცნობათა სჩანს, სამხედრო მატარებელს, რომელიც კიმბერლეიდგან მიდენილა, უცბად მიუსწვრია ბურებისათვის, რომლებიც ამ დროს რკინის გზის ლიანდაგს ანგრევდნენ თურმე. ბურებს დაუწყიათ მაუზერის თოფების სროლა და შემდეგ ზარბაზნებიც მოუშველებიათ; მესამე ყუმბარა რკინის გზის ლიანდაგს მოხვედრია. მატარებელი კიმბერლეიში დაბრუნებულა, ბურებს-კი კვლავ ლიანდაგის ნგრევისათვის მოუყვიათ ხელი. პრეტორიაში ამბობენ, რომ კაპის შენის მოხელეებმა დაანგრიეს რკინის გზის ლიანდა- ლსპანტასთან, ორანჟეს მხრივ, და რკინის ალესო.

ო ესპუბლიკის დ , მეფეკინგის ლე-

ბული შეტაკება მოხდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ბურებმა რკინის გზის ლიანდაგი დაანგრიეს. ბურებმა დაიპყრეს რამდენიმე სოფელი, მათ შორის ლიბატა, სადაც ტელეგრაფის სადგური იმყოფება, და დაატყვევეს ტელეგრაფის მოხელე. როდეზიიდგან მომავალმა სამხედრო მატარებელმა ბურებს სროლა დაუწყო, რომელთაც სროლითვე უპასუხა. ამბობენ, რომ რამდენიმე კაფრია მოკლულიაო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბალფურმა წაიკითხა სამეფო ეპისტოლე, რომელშიაც ნათქვამია, დიდად საშიშრად უნდა იქმნას სამხრეთ აფრიკაში საქმეთა ვითარება, დედოფლის აზრითა და პარლამენტის დადგენილების თანახმადაო. კიდეც ამიტომ დედოფალს საქმეთა ვითარების შესაფერისად მიაჩნია სამხედრო სამსახურისათვის ახალი წყარონი შექმნას და საჭიროდ მიაჩნია აცნობოს პალატას, რომ მას განზრახვა აქვს პროკლამაცია გამოსცეს მილიციის მომქმედ ჯარში ჩარიცხვისა და სათადარიგო მილიციისა, ანუ მისის ერთის ნაწილის სამუდამო სამსახურში მოწვევის შესახებ. ეპისტოლეს განბჯობა ხვალამდე გადადებულია. ადრესის შესახების შემდეგის კამათის დროს სტანგოპმა წინადადება მისცა ჩამოუტაროთ დასამატს წინადადებას, რომლითაც იგი ჰკითხავს ტრანსვაალთან მოლაპარაკების წარმოების წეს-რიგს, რის მიზეზითაც ინგლისი იძულებულ იქმნა ომი დაეწყო სამხედრო აფრიკის ორს რესპუბლიკასთანაო.

განცხადებანი

დაიბეჭდა და გაიყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

თხზულებანი
ა. ს. პუშკინისა
ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით
ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და იყიდება
წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იმერული
ზღაპრები
შეკრებილი კ. მისხის მიერ
ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ ზანათად დაეთმობა. (12—12)

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеніи**

Плата за весь курсъ 60 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-ха часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяцъ

За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳме тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счет 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 ачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ** **мвтора: Михайловская ул., № 71.** (100—85)

ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭროდ

„უნივერსალნი მაღაზი“

კ. გ. ყარიბოვისა (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის ბახჩა)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, საოჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

ეს არის ახლად მიღებული დიდძალი

ქოლგები.
თეთრეული
კორსეტები.
წინდები.
ჩულქები.
ფუფაიკები.
ჟერსე.
პერჩატკები.
კრუჟევა რუსული და გრან.
შალები თბილი.
შარფები.
ყელსახვევი (ბოა).

შლიაპები.
სარტყლები.
მოსართავები.
ლენტები ყოველნაირი.
ბალდადები.
ხელსახოცები.
ყელსახვევები.
პირბადეები.
აგრამანტები.
გამაშები.
რედიკულები.
ალბომები.

სარკეები.
ნესესერები.
პორტმონები.
სანობათო ნივთები.
საქორწილო სამკაულები.
საბავშო ტანსაცმელები.
ქალების კაბების საკაზმები.
ფანჯრის ტულები.
ქსოვილი სუფრები.
საბნები ქსოვილები.
ბალიშის პირები.
ბამბები შალისა.
ყოველგვარი ფერისა.

კალოშები.
სამრეწველო საქონელი.
ართურ კრუპპის ქარხნის ლითონეულობის ნაკეთობა.
„ალპაკას“ ნახელოვნები, სქლად მოვერცხლებული.
სამზარეულო ჭურჭლები, წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის.
შუშები ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე ს ათაჭრილი ✦ ჩვენი ის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსა-
მაღაზიას ყოველ კვირ დარწმუნდეს. (50—7)

Д Октября 1899 ან. (ტ. კუნისა), რედაქტორ-გამომცემელი ზ. გუნია